

ინსტრუქცია

(აგენტის მიერ გადახდების მიღების შესახებ)

ტერმინთა განსაზღვრება

სისტემა – შპს „თიბისი ფი“.

ოპერატორი – ორგანიზაცია, რომელიც თავისი სახელით აწვდის მომხმარებელს მომსახურებას ან ახდენს საქონლის რეალიზაციას.

აგენტი – ორგანიზაცია ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დებს ხელშეკრულებას სისტემასთან.

აბონენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გაფორმებული აქვს ოპერატორთან შესაბამისი სააბონენტო ხელშეკრულება.

სააბონენტო ხელშეკრულება – ხელშეკრულება მომსახურების მიწოდების/საქონლის რეალიზაციის შესახებ, მათ შორის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურება; მონაცემთა გადაცემის მომსახურება; IP – ტელეფონის მომსახურება; ოპერატორის ტექნიკურ ზონაში სერვერების განთავსების მომსახურება; რადიოსატელეფონო კავშირით მომსახურება, და სხვა ტიპის მომსახურება, რომლის ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართში.

მომსახურება – ოპერატორის მიერ აბონენტისათვის გაწეული მომსახურება სააბონენტო ხელშეკრულების საფუძველზე გადახდის ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელების პირობით.

გადახდა – ფულადი სახსრების გადაცემა, რომელსაც გადამხდელი ახორციელებს ოპერატორის სასარგებლოდ მომსახურებისათვის გადახდის ვალდებულების შეწყვეტის მიზნით. (მათ შორის საავანსო გადასახადის შეტანა).

გადამხდელი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს გადახდას აბონენტის სახელით.

აბონენტის პირადი ანგარიში – ოპერატორის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში არსებული ანალიტიკური ანგარიში, რომელშიც აღრიცხება ყველა ის ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია სააბონენტო ხელშეკრულების შესაბამისად მომსახურების გაწევასთან.

აგენტის ტერიტორია – გადახდების მიღების პუნქტები, რომლებშიც აგენტი თვითმომსახურების ავტომატების გამოყენებით ახორციელებს გადახდების მიღებას; ასევე ინტერნეტის ქსელი, რომელშიც აგენტი ახორციელებს გადახდების მიღებას; სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

გადახდების მიღების პერიოდი – დროის პერიოდი, რომელიც განისაზღვრება გადამხდელის მიერ აგენტისათვის გადახდის განხორციელების შეთავაზების მომენტიდან გადამხდელისათვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემის მომენტამდე.

ელექტრონული დოკუმენტი – დოკუმენტაბრუნვის ერთ-ერთი მონაწილის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომლის თაობაზეც მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ, თუ რა ელექტრონული არხებით, რომელი პროტოკოლების გამოყენებით მოხდება მისი გადაცემა და ასევე ამ ინფორმაციის რეკვიზიტების შესახებ, მათ შორის რომლებიც ახდენენ მფლობელის იდენტიფიცირებას.

სუბაგენტური ხელშეკრულება – აგენტს და მესამე პირს - სუბაგენტს შორის დადებული ხელშეკრულება კლიენტებისაგან სააბონენტო ხელშეკრულებების თანახმად გადახდების მიღების ორგანიზაციასთან დაკავშირებით ოპერატორის სასარგებლოდ. სუბაგენტური ხელშეკრულების თანახმად აგენტი მესამე პირთა - სუბაგენტთა მოქმედებზე პასუხისმგებელია სისტემის წინაშე.

1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. აგენტი ვალდებულია სისტემის დავალებით და შესაბამისი ოპერატორის ინტერესებისათვის, მიიღოს გადახდები საკუთარ ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირ(ებ)ისგან და გადარიცხოს ისინი გადამხდელისგან, შესაბამისი ოპერატორ(ებ)ის რეკვიზიტებზე.
- 1.2. სისტემა თავის მხრიდან ვალდებულია უზრუნველყოს აგენტი, აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით გადარიცხვების მიღებისათვის.

2. აგენტის მოქმედება

- 2.1. გადახდების მიღებამდე აგენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია სისტემაში, ხელშეკრულების დადების სახით.
- 2.2. აგენტი ვალდებულია აცნობოს წერილობით სისტემას გადახდების პუნქტების გახსნის თაობაზე, არა უგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში, აგენტისთვის დადგენილი ფორმის მიხედვით.
- 2.3. აგენტმა უნდა მიიღოს მხოლოდ ის გადახდები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:
 - 2.3.1. გადახდის შეტანის დროს გადამხდელი უთითებს ინფორმაციას, რომელიც აბონენტის ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა ან აბონენტის პირადი ანგარიშის ნომერს ოპერატორის საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაში. იმ კონკრეტული მონაცემების ნუსხა რომლებიც, კონკრეტული მომსახურებისათვის გადახდის განხორციელებაზე მიუთითებენ, დგინდება ოპერატორის მიერ;
 - 2.3.2. გადახდა ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
 - 2.3.3. აგენტის ვალდებულება სისტემის მიმართ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის წარმოდგენის/გადახდების მიღებამდე სისტემის საბანკო ანგარიშზე საგარანტიო შენატანის განხორციელების გზით. საგარანტიო შენატანში ფულადი სახსრების არარსებობისას აგენტის ვალდებულება ითვლება არაუზრუნველყოფილად და სისტემას უფლება აქვს შეაჩეროს/შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

2.4. აგენტსა და სისტემას შორის მონაცემების შეჯერება უნდა განხორციელდეს გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულებით და მისი დანართებით დადგენილი წესის და ვადების შესაბამისად. შედარების აქტი დგება წერილობით, წინამდებარე ინსტრუქციის დანართში მოცემული ფორმით. იგი მოიცავს ინფორმაციას აგენტის მიერ მიღებული გადახდების, გადარიცხული გადახდების თანხების და ანაზღაურების გადახდების შესახებ. აგენტის მიერ ანგარიშის ვადის გადაცილების შემთხვევაში სისტემას უფლება აქვს შეადგინოს შედარების აქტი და გაუგზავნოს იგი აგენტს. აღნიშნულ დოკუმენტთან, თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით, აგენტი სისტემას ანაზღაურების თანხაზე აწვდის ანგარიშ-ფაქტურას ან უგზავნის შეტყობინებას, რომ იგი არ წარმოადგენს დღგ-ს გადახდელს.

4. სისტემის მოქმედება

4.1. სისტემა ვალდებულია განხორციელოს კონტროლი მიღებული გადახდების ჩარიცხვის სისრულესა და დროულობაზე.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად აღმოჩენილ იქნება რაიმე შეუსაბამობანი, სისტემა ვალდებულია არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წერილობით შეატყობინოს შემოწმების შედეგები აგენტს, რომლის ბრალეულობითაც მოხდა შეუსაბამობა.

4.3. იმ შემთხვევაში თუ სისტემას სურს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული ოპერატორების ნუსხასა და თითოეული ოპერატორის შემთხვევაში აგენტისათვის დადგენილი ანაზღაურების ოდენობის ნუსხაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის ახალი ოპერატორის დამატება) მან ცვლილების განხორციელებამდე 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს აგენტს. აგენტი თავის მხრივ ვალდებულია, ასევე წერილობითი ფორმით შეატყობინოს სისტემას მისი თანხმობა ან უარი ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. დადგენილ ვადაში აგენტის მხრიდან შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ აგენტი თანახმაა ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებაზე. ცვლილებები განხორციელდება ჩაითვლება და ამოქმედდება აგენტის თანხმობის მიღების ანდა აგენტის მიერ შეტყობინების გაგზავნის ვადის გასვლის დღის შემდგომი დღიდან.

4.4. ცვლილებების განხორციელების თაობაზე აგენტის უარის მიღების შემთხვევაში სისტემა ვალდებულია შეაჩეროს აგენტის მიერ შესაბამისი ოპერატორის სასარგებლოდ გადახდების მიღების ტექნიკური შესაძლებლობა.

5. აგენტის ანაზღაურების გადახდის წესი.

5.1. აგენტის ანაზღაურება ითვლება ეროვნულ ვალუტაში – ლარებში პროცენტული გაანგარიშებით მის მიერ მიღებული და გადარიცხული გადახდიდან. შეიცავს/არ შეიცავს დღგ-ს იმის მიხედვით არის თუ არა აგენტი დღგ-ს გადაამხდელი.

5.2. თუ აგენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღარ არის ან და გახდა დღგ-ს გადაამხდელი, იგი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ სისტემას და წარმოუდგინოს შესაბამისი დოკუმენტი არა უგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე სხვა საგადასახადო რეკვიზებზე გადასვლის მომენტამდე. ამ შემთხვევაში აგენტის ანაზღაურების განაკვეთი შეიცვლება შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ აგენტი აღარ არის დღგ-ს გადაამხდელი ანაზღაურების განაკვეთი მცირდება წინა საანგარიშო პერიოდში მოქმედი დღგ-ს განაკვეთის ოდენობით მხარეთა დამატებითი ურთიერთშეთანხმების გარეშე.

5.3. აგენტისათვის გადასახდელი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება წინამდებარე მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით.

5.4. აგენტს უფლება აქვს აიღოს გადაამხდელისაგან დამატებითი გადასახადი, გადახდების მიღებასთან დაკავშირებულ ქმედებების შესაბამისად მხოლოდ და მხოლოდ სისტემასთან დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამასთანავე დამატებითი გადასახადი გადადის აგენტის განკარგულებაში და არ შედის აგენტის ანაზღაურებაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ ზიანზე, რომელიც შესაძლებელია მიადგეს დამრღვევ მხარეს მის მიერ ამ დარღვევის ჩაღწევის შემთხვევაში.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მხოლოდ წერილობითი პრეტენზიის ან ანგარიშის იმ მხარისათვის წარდგენილ შემთხვევაში, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება. თანხის გადახდა ხდება მოთხოვნის (ანგარიშის) წარდგენის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. პირგასამტეხლო შეიძლება გამოიქვითოს იმ თანხიდან, რომლებიც მანამდე გადაერიცხა პირგასამტეხლოს გადახდის მომთხოვნ მხარეს.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაქონი ვალდებულებების შემდგომი შესრულებისა და წინამდებარე წესების დაცვისაგან.

7. ვადები, თარიღები და დრო

7.1. ხელშეკრულების მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები ითვლება კალენდარული დღეებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულების ვადა გადადის მომდევნო სამუშაო დღეზე.

7.2. ხელშეკრულების მხარეთა მიერ ნებისმიერი ქმედებების ჩატარების თარიღი და დრო განისაზღვრება თბილისის დროით.

7.3. ნებისმიერი მხარის წერილობით შეტყობინება გაგზავნილად ითვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოვლენა მოხდა უფრო ადრე:

7.3.1. შეტყობინების ტექსტის სისტემის საიტზე გამოქვეყნების მომენტიდან ან აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული სახით გაგზავნის მომენტიდან;

7.3.2. შეტყობინების ფოსტით ან ტელეგრაფით გაგზავნის მომენტიდან;

7.3.3. მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის წერილობითი დოკუმენტის კურიერის ან ფაქსიმილური კავშირის მეშვეობით ჩაბარების მომენტიდან.

8. კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

8.1 მხარეები ვალდებული არიან მიიღონ ყველა საჭირო ზომა ინფორმაციისა და იმ დოკუმენტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რომელთა მოძრაობა ხდება სისტემაში ან რომლებიც სისტემის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხარეთათვის.

8.2 აგენტი ვალდებულია დამოუკიდებლად მიიღოს ყველა საჭირო ზომა კონფიდენციალურობის დაცვის, არასანქცირებული გამოყენების თავიდან აცილებისა და აგენტის აუტენტიფიკაციური მონაცემების მესამე პირთა არასანქცირებული ხელყოფისაგან დაცვის მიზნით.

8.3 სისტემა ვალდებულია დაიცავს კონფიდენციალურობა აგენტის შესახებ იმ არასაჯარო მონაცემების მიმართ, რომლებიც სისტემისათვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით (მათ შორის ავტორიზებული რეკვიზიტები, გადახდების მიმღები პუნქტების შესახებ ინფორმაცია, ანგარიშების მონაცემები), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

8.3.1. ასეთი ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომია;

8.3.2. გახსნილია აგენტის მოთხოვნის ან თანხმობის საფუძველზე;

8.3.3. ექვემდებარება მესამე პირთათვის გაცნობას იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად;

8.3.4. საჭიროებს გახსნას კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველზე ან სასამართლოდან ან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებიდან შესაბამისი მოთხოვნების მიღების გამო;

8.3.5. აგენტსა და სისტემას შორის შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4 აგენტი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

8.4.1. გადახდების სერვისის მეშვეობით არ განახორციელოს უკანონო ფინანსური ოპერაციები, უკანონო ვაჭრობა, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე მიმართული ოპერაციები, და ასევე ნებისმიერი სხვა ოპერაციები, რომლებიც არღვევენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

8.4.2. თავიდან აიცილოს უკანონო ვაჭრობის, უკანონო ფინანსური ოპერაციების, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციაზე (ფულის გათეთრებაზე) მიმართული ოპერაციების მცდელობები.

8.5 სისტემა იტოვებს უფლებას უარი უთხრას აგენტს გადახდების მიღების ტექნიკურ შესაძლებლობაზე უარის მიზეზის მითითების გარეშე, მათ შორის აგენტის ქმედებებში მართლზომიერი ეჭვის შეტანის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში სისტემა უფლებამოსილია მოითხოვოს აგენტის ქმედებების მართლზომიერების დამადასტურებელი დამატებითი ინფორმაციის მიღება.

8.6 აგენტი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა საიდუმლოდ შეინახოს თავისი ავტორიზირებული მონაცემები. წინამდებარე წესების დაცვისა და საკუთარი უსაფრთხოების მიზნით.

8.6.1. აგენტი ვალდებულია:

8.6.1.1. პირველი ტრანზაქციის ჩატარებამდე შეცვალოს სისტემაში შესვლის ადმინისტრატორის პაროლი;

8.6.1.2. არ გაუშვილოს მესამე პირებს აგენტის ნებისმიერი აუტენტიფიკაციური მონაცემები;

8.6.1.3. არ გადასცეს აგენტის აუტენტიფიკაციური მონაცემები კავშირის ღია არხების მეშვეობით (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, და ა. შ.);

8.6.1.4. არ შეატყობინოს პაროლი სისტემის თანამშრომლებს;

8.6.1.5. არ ჩაწეროს აგენტის აუტენტიფიკაციური მონაცემები ადვილად ამოსაცნობი ფორმით მესამე პირთათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციის ნებისმიერ მატარებლებში (ფურნალები, მემორიალური ფურცლები, დისკეტები და ა.შ.);

8.6.1.6. პერიოდულად, არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ შეცვალოს აგენტის პაროლი;

8.6.1.7. პაროლების სახით არ გამოიყენოს სიმბოლოების ადვილად შესარჩევი კომბინაცია (ციფრების რიგი, იუბილეები, დაბადების თარიღები, საკუთარი სახელები, და ა.შ.);

8.6.1.8. პაროლის შერჩევისას იხელმძღვანელოს სისტემის მიერ გამოქვეყნებული სისტემის რეკომენდაციებით.

8.7. წინამდებარე წესების თანახმად მხარეთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დარღვევას არ წარმოადგენს:

8.7.1. მესამე მხარეთათვის კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულებისა და მხარეთა ურთიერთშეთანხმების შესრულების მიზნით;

8.7.2. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდება სამართალდამცავი ან სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებს კანონიერი მოთხოვნით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. სხვა პირობები

9.1. სისტემას უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ინსტრუქციის ტექსტში ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 10 (ათი) დღით ადრე სისტემის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcpay.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით.

9.2. ამ ინსტრუქციის 9.1 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში აგენტს უფლება ექნება სისტემის ინტერნეტ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან 10 (ათი) დღის ვასვლამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ ინსტრუქციის და გადახდების მიღების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ვადების შესაბამისად.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ აგენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 9.2. პუნქტში აღწერილი უფლებით, სისტემის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება აგენტის მიერ მიღებულად, ინსტრუქცია კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.